# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 423

“23” დეკემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

**ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №35ა-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 71 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.007.002) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ჯემალ ამირიძისთვის (პ/ნ: 01008021185) გადაცემაზე თანხმობის გაცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $122^{1}$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №35ა-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 71 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.007.002) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ჯემალ ამირიძისთვის (პ/ნ: 01008021185) გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 14 დეკემბრის №48.16.1001 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №35ა-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 71 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.007.002) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ჯემალ ამირიძისთვის (პ/ნ: 01008021185) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ალიბეგაშვილი**